# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ დღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.— ოთხშაბათი, 26 იანვარი 1900 წ. № 1026.

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მანეთი, თვეში—75 კაპიკი, ცალკე ნომერი 3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში (ვაჩნაძის ქუჩა, № 27), წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში და ქართველთა წიგ. გამომც. ამხ. კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვაჩნაძის ქუჩაზე, სახლი, № 27, მარტიროზოვისა.—ხელთ-უწერელი წერილები არ დაიბეჭდება.— დასაბეჭდი ნაწერები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1 საათამდე (შუა დღით).

**ტელეფონი № 372** — ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ Пурцели"—„Моамбэ"



## „მოამბე" 1900 წ. „ცნობის ფურცელი"

| „მოამბე" (წელიწადი მეშვიდე) | „ცნობის ფურცელი" (წელიწადი მეხუთე) |
| --- | --- |
| **გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში** | **გამოვა ყოველ დღე კვირა-უქმეების შემდეგაც** |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| რუსეთისა და კავკასიის ქალაქებში: 1 წლ. 10 მ., 6 თვ. 6 მ., 3 თვ. 4 მ. | რუსეთის და კავკასიის ქალაქებში: 1 წლით 6 მან., 1 თვით 75 კაპ. |
| სამძღვარ გარეთის ქალაქებში: 1 წლ. 13 მ., 6 თვ. 7 მ., 3 თვ. 5 მ. | სამზღვარ გარეთის ქალაქებში: 1 წლით 7 მან, 1 თვით 90 კაპ. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

| | |
| --- | --- |
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

**ვინც „მოამბე"-ს ერთის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი" უფასოდ დაეთმობა**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

| | |
| --- | --- |
| ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება სხვათა შორის მიმოხილვა. | გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბები) და სხვ. |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კაპ. მეოთხეზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება. ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ" и „Цнобисъ-Пурцели".

ჟურნალი „მოამბე" და გაზეთი „ცნობის ფურცელი" უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლეთ დაეთმობათ წელიწადში **6** მანეთად და ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს **8** მანეთად.

ვინც „მოამბეს" ერთის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი" უფასოდ დაეთმობა. წლიური ფასი განიყოფება ასე: პირველად—**5** მანეთი, 1-ლ აპრილამდე—**3** მანეთი და 1-ლ სექტემბრამდე—**2** მანეთი.

## ქართული თეატრი

**ხუთშაბათს, 27 იანვარს,**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება ქ. ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

ბენეფისი **გ. გედევანოვისა**

პირველად განახლების შემდეგ

## ურიელ აკოსტა

ტრაგედია 5 მოქ. გუცკოვისა, თარგ. ი. ბაქრაძის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. კარგარეთელი, ნებიერიძე; ბ.ბ. ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი, კ. ყიფიანი, სიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი და სხვ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.—დასაწყისი 8 საათზე.**

**რეჟისორნი: ვ. აბაშიძე და ქ. მესხი.**


## მთავრობის განკარგულებანი

**უმაღლესი ბრძანება სამხედრო უწყებას.**

მილიციის პოდპორუჩიკი თავ. სიმონ ერისთავი გამოირიცხა სიებიდან გარდაცვალებისა გამო.

**უმაღლესი ბრძანება სამოქალაქო უწყებას.**

კოლეჟ. სეკრეტარი გოგიტაძე დაინიშნა ბათუმის საოლქო მმართველობის მდივნად.

## ახალი ამბავი

**დავით აღმაშენებელი.** დღეს, 26 იანვარს, საქართველოს ეკკლესია იხსენიებს და ადიდებს წმ. მეფეს დავით აღმაშენებელს. ამიტომ მეტი არ იქმნება გავახსენოთ მკითხველთ დღევანდელს დღეს წმ. მეფის ვინაობა და ის მოღვაწეობა, რისთვისაც საუკუნო შეიქმნა მისი სახსენებელი.

დავითი დაიბადა 1073 წ. და გამეფდა 1089 წ. თავის მამის გიორგი მეფისავე სიცოცხლეში ჯერ კიდევ ყმაწვილი, მაგრამ ყოველის სიკეთით შემკული. ის იყო ტანადი და ლონიერი, მშვენიერის სახისა, მამაცი და მეტად გამბედავი, გონებით მკვირცხლი და წინდახედული, ხასიათით მშვიდობიანი, აუჩქარებელი და მაგარი, გულით მოწყალე და შემბრალებელი. ამ მშვენიერის თვისებით სავსემ, დავითმა მიიღო თავის დროისთვის საუკეთესო აღზრდა და სწავლა, რის გამო იგი შეიქმნა ნამდვილი დროს შესაფერი მოღვაწე. დავითის მოღვაწეობა ბევრნაირია.

პირველად, საქართველო საჭიროებდა მტრების ხელთაგან განთავისუფლებას და გაერთიანებას, რადგან მომეტებული ნაწილი ჩვენის ქვეყნისა თურქებს ეპყრათ და კახეთიც ცალკე სამეფოს შეადგენდა. დავითმა ეს მოახერხა თავის ვაჟკაცობით, გამჭრიახობით და მხედართმთავრულის ნიჭით. მის გამეფების დროს დაცემული და განაწილებული საქართველო მის ხელში გაძლიერდა, მტერთაგან განთავისუფლდა და დაიჭირა მთელი კავკასიის სამხრეთი ნაწილი შავის ზღვიდან თეთრს ზღვამდე.

გარეშე მტრების მოგერების და ქვეყნის გაერთიანების შემდეგ საჭირო იყო შინაურის წესიერების გამტკიცება. დავით მეფემ ესეც მოახერხა. მან ჩააჩუმა და მოიმორჩილა დიდებულნი, რომელთაც წინად მხოლოდ ვნება მოჰქონდათ ქვეყნისათვის თავიანთ გავლენით და მძლავრობით. კანონის ასრულება ყველასთვის სავალდებულო შეიქმნა და ვინც კი მას დაარღვევდა მკაცრად ისჯებოდა. ასეთივე წესიერება შეიტანა დავითმა საეკკლესიო უწყებაშიაც, რისთვისაც მან მოახდენინა 1103 წელს საეკლესიო კრება, რომელმაც განდევნა დროთა ვითარებით საეკკლესიო წყობილებაში შეპარული უწესოებანი და აღადგინა სრული წესიერება.

შინაურის წესიერებისათვის საჭირო იყო გზები და ხიდები: დავით მეფეც არაფერს იშურებდა და აკეთებდა მკვიდრს ხიდებს და ქვაფენილს გზებს.

ხოლო თავი და თავი საშუალება, რომელსაც შეეძლო ხელი შეეწყო დავითის მოღვაწეობისათვის ქვეყნის საკეთილდღეოდ, იყო ქართველობაში სწავლა-ცოდნის გავრცელება და ქრისტიანულის სარწმუნოების დამყარება. სომხის ისტორიკოსი ვარდანი მოგვითხრობს, რომ დავით მეფემ აარჩია 40 უნიჭიერესი ქართველი ყმაწვილი და გაგზავნა ბიზანტიაში იმ მიზნით, რომ შეესწავლათ უცხო ენები და შემდეგ გადმოეთარგმნათ ამ ენებიდგან ქართულად წიგნები. თვითონაც ისეთი დიდი მოყვარული იყო წიგნებისა, რომ მათ კითხვას ნადირობისა და ლაშქრობის დროსაც კი არა სტოვებდა. ის კითხულობდა არა მხოლოდ საქრისტიანო სასულიერო წიგნებს, არამედ მუსულმანთ წიგნებსაც, მაგ., ყორანს.

როგორც ყველგან მაშინ საქართველოშიაც სწავლა-ცოდნის მიმდევრები და გამავრცელებლები უმთავრესად სასულიერო პირები იყვნენ და სასწავლებლებიც მონასტრებში ჰქონდათ. ამისთვის მეფე დავითი დიდათ ზრუნავდა სასულიერო წოდებისათვის და საყდარ-მონასტრებისათვის.

1106 წ. დავით მეფემ დაიწყო შენება გელათის მონასტრისა, რო-

მელიც, მისი აზრით, უნდა გამხდარიყო მეორე ათონად, ე. ი. ბინად სწავლა-განათლებისა და მწიგნობრობისა. თვით ეკლესიის მოთავება დავითმა თუმცა ვერ მოასწრო თავისს სიცოცხლეში, მაგრამ დააწესა კი მონასტერი, სადაც თავი მოუყარა ყველა იმ ქართველთ, ვინც კი გათქმულნი იყვნენ მაშინ თავიანთ მოღვაწეობით როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის სხვა-და-სხვა მონასტრებში. დავითმა ააშენა აგრეთვე შიო მღვიმის უდაბნოში უმთავრესი ეკკლესია და აგრეთვე ბევრგან სხვაგან. საქართველოს გარეშე მან ააშენა ეკკლესიები სინას მთაზე და იერუსალიმში.

დავით მეფის შემწეობით და მფარველობით გაიხსნა რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი, ანუ აკადემია.

საყდარ-მონასტრების აშენებასთან და მათთვის მამულების შეწირვასთან დავითი მფარველობდა უბრალო სამღვდელოებასაც, რომელიც იყო ნამდვილი აღმზრდელი და განმანათლებელი ხალხისა. დავითმა გაანთავისუფლა სამღვდელოება ყოველის სახელმწიფო გადასახადისა და ბეგარისაგან და ამნაირად დიდი უპირატესობა მისცა მას თავის დანიშნულების შესასრულებლად. მეფე პატივისცემით ეკიდებოდა არა მარტო მართლმადიდებელს სამღვდელოებას, არამედ სომხისა და თვით მუსულმანთა სამღვდელოებასაც.

დავრდომილთა და სნეულთა თანაგრძნობამ აფიქრებინა მეფე დავითს დაეარსებინა ქსენონი, ანუ საავადმყოფო სახლი, სადაც იკრიბებოდენ ყოველ გვარის სენით შეპყრობილნი. თვით დავითი ხშირად დაიარებოდა ამ ქსენონში, თვალ-ყურს ადევნებდა თუ როგორ უვლიდენ ავადმყოფებს და პირადის ლაპარაკით ნუგეშს აძლევდა მათ.

კაცთმოყვარეობით აღსავსე მეფე დავითი ათავისუფლებდა ბლომად ტყვეებს, რომლებიც ქართველებს რჩებოდათ მტრებზე გამარჯვების შემდეგ, ხოლო გლახებ და ღარიბებს უხვად ურიგებდა მოწყალებას.

ამისთანა საქმეების ჩამდენი მეფე ხალხს მეტის-მეტად შეუყვარდა და სიცოცხლეშივე წმინდანად მიიჩნია. თითქო თვით განგებაც მოწმობდა მის სიწმინდეს. არა მარტო სახელმწიფო საქმეებში ემართებოდა ხელი, არამედ მის კერძო ცხოვრებაშიაც ხედავდა ხალხი განგების წყალობის ნიშნებს. ერთხელ ერთის ციხის აღების შემდეგ მეფეს შიგ გულში მოხვდა მარჯვედ გამოსროლილი მტრის ისარი, მაგრამ გადარჩა სიკვდილს იმიტომ, რომ ისარი მოხვდა გულზედ საკიდს მაცხოვრის ხატს. გელათის ეკკლესიის შენების დროს მეფე ჩამოვარდა კედლიდგან და მძიმედ დაშავდა. აგრეთვე რამდენჯერმე ჩამოვარდა ცხენიდგან და ძრიელ დაშავდა, რამდენჯერმე ძრიელ დაიჭრა გაცხარებულს ომში, რამდენჯერ განიზრახეს მის ხასიათის სიმტკიცით უკმაყოფილო ყიპჩაყებმა (სამუდამო ჯარის კაცებმა) ღალატით მისი მოკვლა, მაგრამ ყველა ამ განსაცდელს სასწაულებრივ გადარჩა მეფე, ვიდრე მისი აღსასრულის დღე არ დადგა. სიკვდილის წინა დღეებში დავით მეფემ შეკრიბა თავის დიდებულები და მათ დასწრებით დალოცა მეფედ თავისი შვილი დიმიტრი.

დავითი გარდაიცვალა 24 იანვარს 1125 წ. მიცვალებული მეფე ტფილისით წაასვენეს გელათში და დაკრძალეს ცალკე ადგილს, დიდის ეკკლესიის გარედ. საფლავის ქვაზე დღესაც ეტყობა შემდეგი წარწერა: „ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე. ამას დავემკვიდრო, რამეთუ მთნავს ესე“.

იმ ღვაწლისათვის, რომელიც დავით მეფემ დასდო საქართველოს, ერმა მას უწოდა **აღმაშენებელი**, ხოლო ეკკლესიამ ჩარიცხა წმიდათა შორის.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოება, როგორც უკვე ვაცნობეთ მკითხველთ, ჰმართავს მომავალ წელს ტფილისში **კავკასიის სამეურნეო გამოფენას**. გამოფენის პროგრამის შესამუშავებლად არჩეული იყო კომისია, რომელსაც ამ ჟამად დაუმთავრებია კიდეც მუშაობა და წარუდგენია სამეურნეო საზოგადოების საბჭოსთვის. მალე მოწვეული იქმნება საზოგადოების წევრთა კრება, რომელსაც წარუდგინება დასამტკიცებლად ეს პროგრამა.

✦ კავკასიის საოჯახო მრეწველობის კომიტეტს განუზრახავს დააარსოს თავისი **მუზეუმი**, სადაც მოთავსებული იქმნება ნიმუშები საოჯახო მრეწველობის ნაწარმოებთა.

✦ ორშაბათს, 24 იანვარს, მოხდა ბაღოსნობის საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა კრება, რომელზედაც შემუშავდა პროგრამმა 1900 წლის ტფილისში განზრახულის **კავკასიის ბაღოსნობის გამოფენისა**. კრებამ აირჩია გამოფენის კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ არის სულთან-ყირიმ-გირეი და მდივნად ივანოვი.

✦ ჩვენმა მკითხველებმა იციან უკვე, რომ ტფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორი ბ-ნი **გასილიევი** გადაყვანილ იქმნა იმავე თანამდებობაზე ქ. ვარშავაში. მის მაგიერ ტფილისში გადმოჰყავთ რიგის საოლქო სასამართლოს პროკურორი ბ-ნი **ფონ-კლიუგენი**.

✦ ჩვენ შევიტყეთ, რომ დაბა ყვირილაში ნოტარიუსად დაუნიშნავთ შორაპნის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე ბ-ნი ონკელი.

✦ ამ წლის გაზაფხულზე დანიშნულია შემდეგი **სესსიები ტფილისის საოლქო სასამართლოსი**. ქ. სიღნაღში 28 თებერვლიდან 7 მარტამდე, ქ. ზაქათალაში 13-დან 18 მარტამდე, ქ. დუშეთში 27-დან 31 მარტამდე და ქ. თელავში 17-დან 23 აპრილამდე.

✦ ჩვენ შევიტყეთ, რომ დიდად პატივცემულს დეკანოზს პეტრე კონჩუაშვილს მოუწადინია ცალკე წიგნათ გამოსცეს თვისი მოგზაურობა „იერუსალიმში და ათონის მთაზე“, რომელიც დაიბეჭდა წარსულს შემოდგომაზე „ივერიაში“. ეს ფრიად სასიამოვნო ამბავია, რადგანაც ისეთი სიყვარულით და მამულიშვილობის გრძნობით არც ერთს მოგზაურს არ აღუწერია ქართულის მონასტრების ბედი და უბედობა წმინდა ათონის მთაზე.

✦ ჩვენ მივიღეთ მეორე ნომერი მურიეს ფრანგულის **ჟურნალისა „Le Caucase illustré“**. ჟურნალში დასტამბულია შემდეგი წერილები; „ბაქო და ნავთი“; ბ-ნი სუნდუკიანცის პიესის „პეპო“-ს პირველი მოქმედება; „იმერეთი და იმერლები“; „ქართველი პუბლიცისტები—თ. ი. ჭავჭავაძე“, კარიჭაშვილისა; „საეკკლესიო არხიტექტურა კავკასიაში“. ჟურნალში მოთავსებულია პორტრეტები თ. ი. ჭავჭავაძისა და ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკისა და ბევრი სურათი.

✦ სამიწადმოქმედო სამინისტროს განზრახვა აქვს დააარსოს სამხრეთ რუსეთში და კავკასიაში სპეციალური სასწავლებელი, რომელსაც საგნად ექმნება მცოდნე და გამოცდილი **მეცხვარეები** მოამზადოს.

✦ ფოთის ქალაქის გამგეობა შეჰკვრია პირობით ალშევიჩისა და კერნის ფირმის წარმომადგენელს ინჟ. პასსეკს **ფოთის ქუჩების ელექტრონით განათებისთვის**.

✦ ამას წინად ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო ცნობა, რომ ტფილისის კომერციული ბანკის ბაქოს განყოფილების გამგეთ მიწვეულ იქმნა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების მოხელე ბ-ნი **გულბინი**. როგორც გადმოგვცეს, ეს კომბინაცია არ მოხერხდა, რადგანაც ბ-ნი გულბინი სახელმწიფო ბანკის განყოფილების გამგეთ გადაჰყავთ რუსეთის ერთ-ერთ შიდა გუბერნიაში.

✦ თიონეთის მაზრაში **საქონელზე** რაღაც ავადმყოფობა გაჩენილა. სენის გამოსაკვლევად და ზომების მისაღებად გაიგზავნა უკვე ვეტერინარი.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობას განუზრახავს ააშენოს ქალაქის ბაკთან კარგი მოწყობილი **თავლები**. მათ აშენების შემდეგ აკრძალული იქნება ტფილისში სხვა ადგილას საქონლის შენახვა.

✦ ქუთაისის გუბერნიაში საქონელზე **შავი ჭირის მოსასპობლად** კავკასიის მმართველობას გადაუდვია 10 ათასი მანეთი.

✦ **სახელმწიფო** ბანკი აცხადებს, რომ ვექსილის გამცემმა, როდესაც აძლევს თამასუქს ვისმეს ძველ ბლანკებზე, უნდა გაასწოროს ციფრში 18... ციფრი 8 9-ათ. და ეს გასწორება ვექსილზედვე უნდა აღინიშნოს.

## ტფილისის საბჭო

24 შესდგა საბჭოს კრება, რომელზედაც განხილულ იქმნა რამდენიმე კითხვა. პირველად საბჭომ განიხილა მოხსენება გამგეობის წევრის თ. არღუთინსკისა შესახებ ხორცზე ნიხრის მომატებისა.

ხმოსანმა გრიქუროვმა შენიშნა, რომ ნიხრის მომატება, სულ ერთია, ყასბების თავგასულობას არ აჰლაგმავსო. საჭიროა არჩეულ იქმნას კომისია იმისთანა ღონისძიებათა აღმოსაჩენად, რომ ნიხრით იყიდებოდეს ხორცი.

ქალაქის მოურავმა შენიშნა, რომ მან მიიწვია კრებაზე რამდენიმე ყასაბი, სავეტერინარო ინსპექტორის თანაშემწე კრიდნერი, როგორც მცოდნე პირი. კრებაზე აღმოჩნდა, რომ ერთად ერთი საშუალება ხორცის ვაჭრობის რიგზე მოსაწყობად — საჭიროა ქალაქს ჰქონდეს საკუთარი დუქანი ხორცისა. ეს საქმე გამგეობის წევრს თ. არღუთინსკის მიენდო და ეცდება დააჩქარებინოს დამთავრება.

თაიროვმა უპასუხა, რომ ორი წელიწადია სულ ეგ მესმის „საჭიროა ჩვენი დუქანი გავხსნათ და სხვა“ და ჯერ კი არაფერი არა სჩანს, როდის ან რა იქმნება. უეჭველია რიგზე არ არის მოწყობილი საშუალება ფასების გაგებისა,

თორემ როგორ შეიძლება, რომ ყასპები მეტად ჰყიდნენ, თუ კი თქვენ ნაკლებ გიჯდებათ. ან არა და თუ მოგება აქეთ ყასპებს, რატომ არავინ არ გამდიდრდა იმათში. არამც თუ არ გამდიდრდა, რამდენიმე გაკოტრდა კიდეც, რადგან ზარალს ვერ აუვიდნენ. სხვათა შორის გამგეობის წევრმა შენიშნა, რომ 20 წელიწადია ვებრძვით ნიხრს და ვერას გავხდით. ამბობენ, რომ ჩვენი საკუთარი დუქნები დაგვიხსნიან ამ გარემოებიდანაო, მაგრამ თქმა ადვილია. დუქნების მოწყობას დიდი გამოცდილება უნდა და ეს საქმე მოითხოვს დიდი თვალყურის ჭერას და დროს. თუ არა და განსაკუთრებით ქ. ტფილისისათვის ხომ არ შესთხზავენ კანონებს. ნუ თუ თქვენ გსურთ, რომ კვლავაც ამ რიგზე მიდიოდეს საქმე და სულ იმასა სჩიოდეთ—სავაჭრო პოლიცია ყურს არას უგდებსო. გამგეობის წევრმა თ. არღუთინსკიმ, სხვათა შორის, სთქვა რომ არა ერთხელ გამოუთქვამთ აქ, რომ მე ვაგვიანებ ქალაქის საყასპოს გახსნის შესახებ მოხსენებასო. მართალია დაიაგვიანე, რადგან ეს საქმე ძალიან რთულია და დრო უნდა ამისათვის მასალის შეკრებასო.

შემდეგ ხმის უმეტესობით საბჭომ დაამტკიცა გამგეობის მოხსენება ხორცზე ნიხრის მომატების შესახებ.

ამ საღამოს საყურადღებო განსახილველი საგანი იყო „ფუნიკულიარის“ (მთის რკინის გზის) გაკეთება მთა-წმინდაზედ.

გამგეობის წევრმა თ. ჩერქეზიშვილმა მოახსენა საბჭოს საქმის გარემოება. მოხსენებიდან სჩანს, რომ „ფუნიკულიარი“-ს გაკეთების ნება-რთვა უთხოვნია ინჟ. რობის. გზის გაკეთება განძრახულია მთაწმინდიდან, ქალაქის აუზის უკან, მთაწმინდის წვერომდე. სიგრძით 429,53 მეტრი.

რკინის გზის ლიანდაგის სიგანე იქმნება ერთი მეტრი და მხოლოდ მთაწმინდასთან ასაქცევად გაიყოფება ორად. ამ ადგილს იქმნება სადგური, სადაც ვაგონები გაჩერდებიან მოკლე ხნით. ხალხის ასაყვან-ჩამოსაყვანად იქმნება ორი ან ოთხი ვაგონი. თითო ვაგონს ექმნება 3 განყოფილება 8 სულისათვის. გარდა ამისა ბარგის საზიდად ცალკე ვაგონი იქმნება. ვაგონებს ორი ხელის ტორმოზი ექმნება და ერთი ავტომატიური, რომელიც შეერთებული იქმნება ფოლადის მავთულთან და ეს უკანასკნელი მოებმება მთაზე დადგმულ ასატან-ჩამოსატან მაშინას. გარდა ამისა ყოველის ხიფათის ასაცდენად ვაგონს ექმნება ერთგვარი გაზი, რომელიც შეიმაგრებს ვაგონს, თუ ვინიცობაა ფოლადის მავთული გაწყდება და ვერც ერთი ტორმოზი ვერ დაიჭერს მას.

თავში და ბოლოში სადგურები იქმნება მგზავრთათვის. მატარებლები ივლიან 15 მარტიდან 15 ნოემბრამდე დილის 7 საათიდან ღამის 12 საათამდე, ყოველ ნახევარ საათში ერთხელ. ფასი ასვლა ჩამოსვლისა იქმნება შემდეგი: მამადავითის ახლო სადგურიდან ზევით ასვლა, ან ძირს ჩამოსვლა ეღირება არა უმეტეს 10 კ.-სა. ქვეითა სადგურიდან მთის წვერამდე—20 კაპ.; ზევიდან ქვემოდ—15 კაპეიკი; ასვლა-ჩამოსვლა—30 კაპეიკი. ბარგის ატან-ჩამოტანა 2 ფ.-ზე 5 კაპ. მთელ იმ დროს განმავლობაში, რაც ეს საქმე კონცესსიონერის ხელში იქმნება—ქალაქი მიიღებს 1 პროცენტს შემოსავლიდან. შემდეგ ვადის გათავებისა—ქალაქს რჩება ყველა შენობები გზიანად და მოწყობით. მთაწმინდაზე რობის ჰსურს გამართოს საზაფხულო თეატრი, გააშენოს სასეირნო ტყე და გაიყვანოს წყალი და სხვ. ამ მოხსენებამ გამოიწვია ხმოსანთა კამათობა. ზოგიერთმა ხმოსანმა ამ საქმის მისაძინებლად წინადადება მისცა კომისია აერჩია საბჭოს პროექტის შესასწავლად. ხმ. დოლუხანოვმა ურჩია გადაეცათ ქალაქის ინჟენერისათვის ამ საქმის გამოკვლევა. ხმოსანმა თაიროვმა სთქვა, რომ კოჯორში სააგარაკო ადგილები სულ ტფილისის მცხოვრებთ ეკუთვნის. მამა-დავითის მთაზედ შეიძლება ახალი აგარაკები გააშენონ. რა არის თავდები, რომ რობი მართლა კოჯორშიაც გაიყვანს რკინის გზას. იმას მთაზე დიდი ადგილები უყიდნია და უეჭველია თავის საქმის წარმატებისათვის თავს არ შეიტკიებს კოჯორში გაიყვანოს რკინის გზა თავის ადგილების საზარალოდ. სხვა კონცესიონერმა რომ მოინდომოს სოლოლაკიდან კოჯრამდე რკინის გზის გაყვანა, გამგეობამ ეს უფ..ება შეირჩინა თუ არა?

ქალაქის მოურავი. გამგეობა არ შედის ამის განხილვაში. ეს კონცესია ყველას არ მიეცემა. ხმოს. თაიროვი ამბობს, რომ საჭიროა ჩვენება რობის უპირატესობის საზღვრისა. იქმნება კოჯრის მეაგარაკეთაც ჰსურთ „ფუნიკულერის“ გაკეთება.

ა. ბაბოვი ეთანხმება დოლუხანოვის და თაიროვის აზრს და ურჩევს გადიდოს სჯა ამ საგანზე. აჩქარება საჭირო არ არის მით უფრო, რომ არა გვაქვს დაწვრილებითი ანგარიში და ცნობები. არც ვადის დანიშვნა შეიძლება უამისოთ. ჩვენ ბევრი სხვა საქმეები გვაქვს. რა საჭიროა, რომ დროს გვაკარგვინებთ გამოურკვეველ საქმების გასინჯვაზე. გამგეობის დადგენილება სრულიად არ შეიძლება მივიღოთ.

ალიმჯგოვი ამბობს, რომ სრულიად არ არის საჭირო გადაიდოს საქმე, თუ საქმის გაკეთება გვინდა. საჭიროა გადავწყვიტოთ, სასურველია თუ არა გაყვანილ იქმნას ეს გზა? პრინციპიალურად გადასწყვიტეთ და ტეხნიკური ცნობები მერეც შეიძლება მოვითხოვოთ.

ქ. ალიხანოვი. რასაკვირველია, ქალაქისათვის საჭიროა გზები და შენობები ქალაქის თვითმმართველობის ხელშივე უნდა იყოს, მაგრამ „ფუნიკულერი“-ს გაკეთება ქალაქის საქმე არ არის, რადგან ეს არ შეადგენს მიუცილებელ საჭიროებას. ან როდის გააკეთებს ქალაქი ამას. შეიძლება 1000 წელიც გავიდეს, რომ ქალაქმა არ გააკეთოს. მაშ რად ვუშლით სხვას ტფილისის მცხოვრებთა სასიამოვნოდ გააკეთოს გზა! უნდა ვისარგებლოთ ამ წინადადებით და პრინციპიალურად გადავწყვიტოთ საქმე.

შემდეგ ზოგიერთ ხმოსანთა შენიშვნებისა განაგრძო: ბ-ნი თაიროვი ამბობს, რომ რობი ბევრ ფულს მოიგებსო; ბ-ნი დოლუხანოვი აცხადებს, რობიმ გაბედა გააკეთოს ის, რის გაკეთების უნარიც ჩვენ არა გვაქვსო. რასა ვკარგავთ? განა იმის გამბედაობას გზა არ უნდა მივცეთ? რად ვუშლით ხელს!

თ. ჩერქეზიშვილი. არავის აუშენებია „ფუნიკულერი“ და ამიტომ არც არის მასალა. სალ კლდეზე სდგავენ ელექტრონით გასანათებელ მანქანას, თქვენ უკრძალავთ და ჰკითხავთ რა დაგიჯდებაო. ეს გასართობია. შესახებ ა. ბაბოვის სურვილის მოხსენების დასაბუთებისა უნდა მოგახსენოთ, რომ საგნას განსახილველად უნდა გქონდეთ გონივრული მსჯელობა. თქვენ რითი დაასაბუთეთ თქვენი საწინაამდეგო სიტყვა... (ხმაურობაა). დასასრულ საბჭომ დაადგინა მოხსენება შესახებ „ფუნიკულერის“ გაკეთებისა მიღებულ იქმნას და კონცესია ვარდაეცეს რობის.

დანარჩენი კითხვები შესახებ დაწვრილებითი პირობებისა გარდაეცა განსახილველად გამგეობას და კომისიას.

---

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

**24 იანვარი.**

**პეტერბურგი.** სამეცნიერო აკადემიაში დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ გახსნა პირველი კრება რუსეთის მეტეოროლოგთა. დაესწრნენ მინისტრები—მიწის მოქმედებისა, გზათა და სახალხო განათლებისა.

**ლონდონი.** „Daily Mail“-ს დეპეშით ატყობინებენ პიტერმარიცბურგიდან 23 იანვარს, რომ ბულლერმა, უეჭველია, გაიკაფა გზა ლედი-სმიტისაკენო.

„Daily Telegraph“-ს ატყობინებენ სპირმანიდან, რომ იქ ყოველივე მშვიდობიანად არის. მხოლოდ 22 იანვარს მცირე შეტაკება მომხდარა ბრაკფონტენის აღმოსავლეთით. ინგლისის ქვეითა ჯარმა, რომელიც იმყოფება მდ. ტუგელის ჩრდილოეთ ნაპირზე, პოტშტერედრიფტთან, და რამდენიმე კავალერისტმა, რომელნიც სვატსკოფთან იდგნენ, წინ წაიწიეს და გზა მოუჭრეს ბურების პატარა რაზმებს. ლედი-სმიტს განუწყვეტლივ ესვრიან ყუმბარებს, მაგრამ დიდ ზარალს ვერ აძლევენ. დღე და ღამ უაიტი და ბულლერი ერთმანეთს თავიანთ ამბავს ატყობინებენ.

დურბანიდან „Standard“-ს ატყობინებენ, რომ კაპიტან პერსისკოტტის განკარგულებით დაიხურა ადგილობრივი გაზეთი იმ წერილის გამო, რომელშიაც სასტიკად გაკიცხული იყო ბულლერის ყოფა-ქცევა ომის დროს.

დურბანიდან ატყობინებენ გაზეთებს 23 იანვარს, რომ ბულლერი მდ. ტუგელის მეორე ნაპირზე გავიდა 20 იანვარს ღამით და მიდის ლედი-სმიტისაკენ. სანამ იგი ლედი-სმიტს არ გაანთავისუფლებს, არავითარ ცნობებს მის ჯარების მოძრაობის შესახებ არ გამოაქვეყნებენ.

„რეიტერის სააგენტოს“ აცნობებენ ლედი-სმიტიდ ნ: „ბულლერის ზარბაზნების ხმა გუშინ ისმოდა აქ. რით გათავდა ბრძოლა, არ ვიცით. ბურები ისევ გარს შემოერტყენ ქალაქს და მოაქვთ ახალ-ახალი ზარბაზნები. ჩვენ მოვემზადეთ იმ შემთხვევისათვის, თუ ბურები გაბედავდენ ახალი იერიშის მოტანას. აქ ყველანი ჯანმრთელად არიან“.

**ვენა.** ავსტრიის ბანკმა დასწია დისკონტი ხუთ პროცენტიდან ოთხ ნახევრამდე.

**ნიუ-იორკი.** სამხედრო მინისტრად ნამყოფს ოლჯერს უთქვამს ერთ ჟურნალისტისთვის, რომ მას არ მოსწონს ამერიკის ზოგიერთ ცნობილ პირების ჩარევა სამხრეთ-აფრიკის საქმეებში. შემდეგ მან უდიდესის მადლობით მოიგონა ის ძვირფასი მეგობრობა, რომელიც ინგლისმა გაუწია ამერიკას ისპა-

ნიასთან ომის დროს და უსაყვედურა ბრაიენს, რომ თავის პოლიტიკურ ინტერესებისათვის იგი სცდილობს აღძრას ამერიკელებში მტრული გრძნობა ინგლისელებისადმი.

ამერიკის შეერთებულ შტატების ქალაქებში გუშინ გამართული იყო კრებები, რომლებზედაც ინგლისის წინაამდეგ ლაპარაკობდენ.

ნიუ-იორკში, სამუსიკო აკადემიაში, მისს მოუდ-გონმა წარმოსთქვა სიტყვა. აკადემიის დარბაზში დიდძალი ხალხი იყო, უმეტესად ირლანდიელები. მან სასტიკად გაჰკიცხა ინგლისის პოლიტიკა და განაცხადა, რომ დადგა დრო სამშობლოს განთავისუფლებისა ინგლისის ბატონობისაგან.

ბალტიმორიაში მომხდარ კრებაზე წარმოსთქვეს სიტყვები კონგრესის წევრებმა და სხვა გამოჩენილმა პირებმა. მათ სიტყვებს ხალხი აღტაცებით ისმენდა. შეკრებილ იქმნა რამდენიმე ასი დოლლარი ბურების სასარგებლოდ.

**სოფია.** პარლამენტის სხდომა შესწყდა დღეს.

**ნეაპოლი.** ჰენრიხ პრუსიელი მოვიდა აქ დღეს კრეისერ „პროოისენით“.

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტროს არავითარი ცნობა არ მოსვლია ბულლერის ტუგელზე მეორე ნაპირას გასვლისა და მის ლედისმიტისკენ წასვლის შესახებ; პირიქით სამინისტრო უჩვეჲებს იმ გარემოებას, რომ ჯარები უძრავად დგანან და ჯერ-ჯერობით წინ არ წავლენ. რაც შეეხება იმას, რომ ლედისმიტში სროლა ისმოდა, ფიქრობენ, ეს სალდელი სროლა იყო ახლად მოტანილ ინგლისის ზარბაზნებიდანაო.

დრ. რედაქტ. **ალ. ჭყონია.**

# გამოსადეგი ცნობანი

## საკალენდარო ცნობები

**ოთხშაბათი,** 26 იანვარი; ახალი სტილით მეშვიდე თებერვალი, წლის დასრულებამდე დარჩა 340 დღე. მთვარის მე-10 დღე. ხსენება ღირსისა მამისა ქსენეფორისა და შვილთა მისთა; ხსენება კეთილმსახურისა მეფისა დავით მეხამისა აღმაშენებელისა.

**ხუთშაბათი,** 17 იანვარი; ახალი სტილით 8 იანვარი. წლის დასრულებამდე დარჩა 339 დღე. მთვარის მეთერთმეტე დღე. აღმოყვანება ნაწილთა წმ. შორის მამისა ჩვენისა იოანნე ოქროპირისა.

შემდეგი უქმე დღე—2 თებერვალს, მირქმა უფლისა ჩვენისა.

## ნახრი

| | | |
|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 გ. | — 9 კ. |
| სუკი . . . . | 1 „ | —15 კ. |
| „ ცხვრისა . . | „ „ | — 8 კ. |
| „ კამეჩისა . . | „ „ | — 5 კ. |
| „ ღორისა . . | „ „ | — 8 კ. |
| „ ღორის ბარკალი სალორეთ. . | 1 „ | —10 კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს ის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | |
|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარისხ. | 1 გ. 5 „ | კ. |
| „ „ | II | „ „ 3½ | „ |
| „ „ | III | „ „ 3 | „ |
| იგივე თორნისა | I | „ „ 5 | „ |
| „ „ | II | „ „ 4 | „ |
| „ „ | III | „ „ 3½ | „ |
| ლავაში ჯვარის მამ. | I | „ „ 6 | „ |
| „ „ | II | „ „ 4 | „ |

## რუსეთის ბაზრები

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. | 25 კ. | № 4—7 „ | 25 „ |
| № 1—8 „ | 50 „ | № 5—7 „ | — „ |
| № 2—8 „ | — „ | № 6—6 „ | 75 „ |
| № 3—7 „ | 50 „ | № 7—6 „ | 25 „ |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 44 კ. 46 კ. ქერი როსტოვში 61 კ. 62 კ.-მდე. ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე. მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.

„ ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., იგივე გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მამ.-60დე.

## ტფილისის ბაზრები:

| გაიყიდა მეიდნებზე: | | მ. | კ. | ვოკზალზე: მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკეთ. ფუთი | 1 | 1 | 45 | 1 | 20 |
| ღორ. წითელი . . | 1 | 1 | 10 | 1 | 5 |
| ქერი . . . . . | 1 | — | 75 | — | 86 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 | 20 | — | — |
| „ უცრო მდარე | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო . . . | 1 | — | 55 | — | — |
| კართოფილი. . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი. . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . | 1 | — | 42 | — | — |
| ბზე . . . . . | „ | — | 20 | — | — |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში (არ არის) მ , შეშა ნარევი 32 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, ცხვარი თათრული 3 80 კ .-დამ 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 7 მ.-დამ 7 მ. 25 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური, საკლავი 30 მ.-დამ 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,— კამეჩი — მ.-მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ ę4 მან. შესაბმელი —

## საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო,** მუხრანიი ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე-ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის,** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და უჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის სა ავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეორე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბე, სახლი გოლდლიუსტისა.

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

სახალხო მატარებელი № 1 ბაქოდან თბილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ. თბილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ. თბილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დიაპ., ბათუმში მიდის 8 ს. 32 საღ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან თბილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ. თბილისში მოდის საღამოს 6 ს. 28 წ.; თბილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ. ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

სახალხო მატარებელი № 2 ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., თბილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ., თბილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 სათ. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9 ს. 45 წ. დილით., თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ. ბაქოში მიდის დილის 6 ს. 5 წ.

მატარებელი № 5 თბილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ. ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან თბილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ. თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი ღამის 5 ს. 03 წ., მეორე—დღის 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ. ფოთში მიდის პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე—9 ს. 49 წ. საღ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ. სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ. საღამოს 6 30. დილის 8 ს. 45 და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ., დღისით 12 ს. 30 წ., 3. 50 წ., და 5. 30 წ.

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ. მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

**ჭიათურაში** მიდის პირველი—დილის ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

**ჭიათურიდგან** შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 ს. 40 წ. დღისა, მეორე საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის პირველი დღის 4 ს. 31 წ. მეორე—ღამის 2 ს. 05 წ.

**მიხაილოვოდგან** სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ. მეორე დილის 6 ს. 25 წ. მესამე, დღის 1. 05 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**სურამიდგან** მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5. 08 წ. მეორე დილის 11. 48 წ. მესამე დღის 4. 40 წ. მეოთხე საღამოს 10. 50 წ. მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**ქუთაისიდგან** ტყიბულაში გადის ღამის 6 ს. 50 ტყიბულაში ჩადის 10 ს. დილისა.

ტყიბულიდგან ქუთაისში გადის დღისით 1 ს. 30 წ. ქუთაისში მიდის 6 ს. 30 წ. დღისით.

ომნიბუსების მიმოსვლა თბილისსა და ვლადიკავკასის შორის დაწყებული 1 ნოემბერს 1899 წ. ვიდრე 1 მაისამდის 1900 წ.

**თბილისიდან** ხუთ საჯდომიანი კარეტა გადის დილის 8 საათზე (მლეთში ღამის თევით) და ვლადიკავკასში ჩადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ექვს საჯდომიანი ომნიბუსი გადის ნაშუადღევის 3 საათზე და ვლადიკავკაზში ჩადის მეორე დღეს საღამოს 5 ს. 35 წ.

**ვლადიკავკასიდგან:** ხუთ საჯდომიანი კარეტა გამოდის დილის 8 საათზე (ღამის თევით მლეთში) და ჩამოდის ტფილისში მეორე დღეს საღამოს 6 ს. 40 წ., და ექვს საჯდომიანი ომნიბუსი გამოდის საღამოს 8 საათზე და ტფილისში ჩამოდის მეორე დღეს საღამოს 9 წ. ს. 30


# განცხადებანი

**თეორია და პრაქტიკა**

ფრანცულის ენისა

გეიდენის ქ., № 6, ქვემო სართული

**სადილის შემდეგ 5—6 საათზედ**

იქვე დაქვეითებულ მოსწავლეთა გამეჯითება.


გამომცემელი გალ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ' 24 Января, 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განქის დიდი ქუჩა, № 27